# განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო
კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტზე

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

**ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი:**

წარმოდგენილი ცვლილებისა შეტანის აუცილებლობა კანონში დაკავშირებულია იმ ხარვეზის გამოსასწორებლად, რომელიც მასში არის მოცემული. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციაში მომხდარი ცვლილების შესაბამისად, პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა არ საჭიროებს პარლამენტის თანხმობას. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 29-ე და 282-ე მუხლები აღნიშნულ თანხმობას აუცილებლად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე აუცილებელია კანონი შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საქართველოს კონსტიტუციასთან.

**ა.ბ) პროექტის მიზანი:**

პროექტის მიზანს წარმოადგენს შესაბამისი ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანა და ზემოაღნიშნული საკითხების რეგლამენტაცია.

**ა.გ) პროექტის ძირითადი არსი:**

კოდექსში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

**დ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

წარმოდგენილი პროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

პროექტის მიღება არ იწვევს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

პროექტის მიღება არ იწვევს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

**ბ.ე) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ერცელდება პროექტის მოქმედება:**

პროექტს მოსალოდნელი ფინანსური შედეგებია არ გააჩნია.

**ბ.ვ) პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

აღნიშნული პროექტი არ აწესებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობას.

**გ) პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.**

პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.

**გ.ა) პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

პროექტი არ არის მიმართებაში ევროკავშირის დირექტივებთან.

**გ.ბ) პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

არ არის მიმართებაში საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

**გ.გ) პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.**

პროექტის მომზადების პროცესში გათვალისწინებული იქნა საქართველოს პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტის მოსაზრებები.

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო არგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება პროექტის მიმართ ასეთის არსებობის შემთხვევაში:**
პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.გ) პროექტის ავტორი:**
საქართველოს პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი.
**დ.დ) პროექტის ინიციატორი:**
საქართველოს პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი.